



სახელი, გვარი
 მუნიციპალიტეტი
 თარიღი

მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი ტესტები

სწორია მხოლოდ ერთი პასუხი!

თავი 1. მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების შეფასების თანამედროვე მიდგომები

1. მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების შეფასებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს:
 - ა) ტექნიკურ-ეკონომიკური (მიზანშეწონილობის) შეფასება;
 - ბ) გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 - გ) ორივე ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი

2. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევით უნდა დადგინდეს:
 - ა) პროექტის სამართლებრივი მიზანშეწონილობა
 - ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო ზემოქმედება
 - გ) სამოქმედო გეგმა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგების, მათი თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსაციის შესახებ

3. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ანგარიში უნდა მოიცავდეს:
 - ა) სკოპინგის პროცედურის ანგარიშს
 - ბ) გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება
 - გ) მარკეტინგულ/PR სტრატეგიას

4. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით უნდა დადგინდეს:

- ა) პროექტის ეკონომიკური მიზანშეწონილობა
- ბ) პროექტის სამართლებრივი მიზანშეწონილობა
- გ) პროექტის გავლენა კულტურულ მემკვიდრეობასა და მატერიალურ ფასეულობებზე

5. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს:

- ა) ბაზრის/ბენეფიციართა აღწერა
- ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ
- გ) მარკეტინგულ/PR სტრატეგიას

თავი 2. მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა გავლენის შეფასება საზოგადოების მიზნობრივ ჯგუფებზე

6. პირველადი სოციალური ჯგუფის განმარტებაა:

- ა) ოჯახი, რომლის წევრებს შორის მდგრადი ემოციური ურთიერთობები ყალიბდება
- ბ) ადამიანთა ერთობლიობა, რომელთა შორის თითქმის არ არის ემოციური დამოკიდებულება
- გ) ეკონომიკური სუბიექტების ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთთან არაპირდაპირ არიან დაკავშირებული

7. მეორადი სოციალური ჯგუფის განმარტებაა:

- ა) ოჯახი, რომლის წევრებს შორის მდგრადი ემოციური ურთიერთობები ყალიბდება
- ბ) ადამიანები, რომელთა შორის თითქმის არ არის ემოციური დამოკიდებულება, მათი ურთიერთობა ერთიანი მიზნის მიღწევის სურვილითაა განსაზღვრული.
- გ) მჭიდრო კავშირის მქონე ეკონომიკური სუბიექტები, რომლებიც ერთმანეთის კონკურენტებს არ წარმოადგენენ

8. „მოწყვლადი“ ჯგუფის განმარტებაა:

- ა) ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც გააჩნიათ პრივილეგია საზოგადოებაში და ხელი მიწვდებათ მრავალს სერვისზე
- ბ) ადამიანთა ჯგუფი, რომელიც არ საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას
- გ) ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც მოკლებულნი არიან გარკვეულ პრივილეგიებს

9. „მოწყვლადი“ ჯგუფის მხარდამჭერი პროგრამის სოციალური ინდიკატორია:

- ა) მთლიანი შიდა პროდუქტი
- ბ) სიღარიბის დონე, სიღრმე და სიმწვავე
- გ) ეროვნული შემოსავალი

10. სინერჯის ეფექტი ბიზნეს საქმიანობაში წარმოადგენს:

- ა) ორი ან მეტი გაერთიანებული ორგანიზაციის უფრო ეფექტური პოტენციალის მიღწევას, ვიდრე ცალ-ცალკე მათგანის ნაკლებეფექტური მუშაობა
- ბ) ერთი მონოპოლისტის მიმდინარე საქმიანობას
- გ) ორი ან მეტი გაერთიანებული ორგანიზაციის საქმიანობის პროფილის შეცვლას, რომელიც არ ცვლის თავდაპირველ შედეგს

თავი 3. მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა გავლენა შრომის ბაზრისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე

11. ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა შედგება:

- ა) პირებისგან, რომლებიც არ მუშაობენ და არ ეძებენ სამსახურს
- ბ) პირებისგან, რომლებიც მუშაობენ კვირაში 20 საათი
- გ) პირებისგან, რომლებიც არ მუშაობენ და ინტენსიურად ეძებენ სამსახურს

12. თვითდასაქმებულად ითვლება:

- ა) სკოლის მასწავლებელი
- ბ) თვითმმართველობის საჯარო მოხელე
- გ) ტაქსის მძღოლი, რომელიც კერძოდ ახორციელებს საქმიანობას

13. უმუშევარი არის:

- ა) პირი რომელიც არ მუშაობს და არ ეძებს სამსახურს
- ბ) პირი რომელიც მუშაობს, მაგრამ უკმაყოფილოა სამუშაო პირობებით
- გ) პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტამდე წინა 7 დღის განმავლობაში არ მუშაობდა, მაგრამ ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირის განმავლობაში და მზად იყო სამსახურის დასაწყებად

14. სამუშაო ძალაში შედიან:

- ა) მხოლოდ დასაქმებული ადამიანები
- ბ) მხოლოდ თვითდასაქმებულები და დაქირავებით დასაქმებულები
- გ) დასაქმებულები და ის ადამიანები, რომლებიც ეძენებ სამსახურს

15. შრომის ბაზარზე ხელფასი განისაზღვრება:

- ა) ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ
- ბ) მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთქმედებით
- გ) დამსაქმებლის მიერ

თავი 4. ინფრასტრუქტურული პროექტების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების შეფასება

16. ინფრასტრუქტურული პროექტის წინასწარი შერჩევის ეტაპი უზრუნველყოფს:
- ა) პროექტის რაციონალურობის დადგენას ლოჯისტიკის, რისკების და მდგრადობის თვალსაზრისით
 - ბ) პროექტის შეუფერებელი ალტერნატივების გამორიცხვას/უარყოფას და შემდგომი განხილვისთვის შესაფერისი ალტერნატივების იდენტიფიცირებას
 - გ) ორივე პასუხი სწორია
17. პროექტის კონცეფციის ბარათი უნდა მოიცავდეს:
- ა) გარემოზე ზემოქმედების შეფასებას
 - ბ) პროექტის შესაბამისობის დასაბუთებას სტრატეგიულ დოკუმენტებთან
 - გ) ორივე პასუხი სწორია
18. პროექტის შეფასების ეტაპი მოიცავს:
- ა) ეკონომიკური ანალიზის განხორციელებას
 - ბ) უმუშევარ ადამიანთა აღრიცხვას
 - გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი
19. წმინდა მიმდინარე ღირებულება წარმოადგენს:
- ა) პროექტის ხარჯებისა და მოგების ჯამს, რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე ღირებულებამდე.
 - ბ) პროექტის ხარჯებსა და მოგებას შორის სხვაობას, რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე ღირებულებამდე.
 - გ) პროექტის ხარჯებსა და მოგებას შორის სხვაობას.
20. ინფრასტრუქტურული პროექტის შესრულების შემდგომი შეფასების მიზანია:
- ა) გამჭვირვალობის ზრდა, იმის ჩვენებით, თუ რამდენად ეფექტიანად მოხდა ინვესტირება და სახელმწიფო ფინანსების გამოყენება ფინანსურ, ეკონომიკურ, გარემოს და სოციალურ მიზნებთან მიმართებაში
 - ბ) უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირების გამოთვლა
 - გ) ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის ეფექტიანობის დადგენა

თავი 5. საჯარო-კერძო პარტნიორობით (PPP) განხორციელებული პროექტების გავლენა ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე

21. რა განაპირობებს საჯარო-კერძო პარტნიორობით (PPP) პროექტების განხორციელების მიზანშეწონილობას?
- ა) მოსახლეობის შემოსავლების ზრდა საჯარო-კერძო პარტნიორობით (PPP) პროექტების შედეგად

ბ) საჯარო სექტორს ეძლევა შესაძლებლობა მოიზიდოს დამატებითი რესურსები კერძო სექტორიდან პროექტების დასაფინანსებლად და ამით შეავსოს მუდმივად არასაკმარისი საბიუჯეტო რესურსი

გ) უმჯობესდება მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

22. საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) პროექტების წინასწარი ტესტირების დროს უნდა მოხდეს:

ა) ფინანსური, სამშენებლო და ოპერაციული ხარჯების შეფასება შესყიდვების თითოეული ალტერნატიული მეთოდისთვის პროექტის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში

ბ) პროექტთან დაკავშირებული რისკების მკაფიო განსაზღვრა, იდენტიფიკაცია, შეფასება

გ) ორივე პასუხი სწორია

23. საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) პროექტების წინასწარი ტესტირებისას არ უნდა იქნეს გათვალისწინებული:

ა) კერძო სექტორის პარტნიორისთვის სახელშეკრულებო გადახდების ნაწილის დაფარვის შესაძლებლობა საბოლოო მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხებიდან;

ბ) პროექტის მასშტაბი საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) პროექტთან დაკავშირებული ოპერაციული ხარჯების გასამართლებლად.

გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი

24. პროექტის განხორციელება საჯარო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) პრინციპით მიზანშეწონილია, თუ:

ა) მას მოჰყვება სარგებელი ყველასათვის

ბ) მას მოჰყვება სახელმწიფოსთვის წმინდა დადებითი მოგება, რომელიც აღემატება იმ შედეგს, რომლის მიღწევაც შეიძლება ტრადიციული სახელმწიფო ინვესტიციის განხორციელების საშუალებით.

გ) ორივე პასუხი სწორია

25. „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის

შესაბამისად, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის განხორციელების ყოველწლიური ანგარიშგება მოიცავს:

ა) პროექტის განხორციელებაში წლის განმავლობაში მიღწეულ პროგრესს, იმ გარემოებების პრაქტიკაში განხორციელების გათვალისწინებით, რომელთა

საფუძველზედაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება პროექტის მოწონების შესახებ

ბ) კერძო პარტნიორის ფინანსურ ანგარიშგებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

გ) ორივე პასუხი სწორია

თავი 6. მუნიციპალური გადაწყვეტილებების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების შეფასების მატრიცა

26. შეფასების სისტემა ეყრდნობა:

- ა) მხოლოდ ხარისხობრივ მაჩვენებლებს
- ბ) ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს
- გ) მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებლებს

27. შეფასების სისტემაში სფეროებს შორის წონების განაწილების ჯამი:

- ა) უდრის 1-ს (100%)
- ბ) მეტია 1-ზე
- გ) ნაკლებია 1-ზე

28. შეფასების ხარისხობრივი მაჩვენებლები არ ეყრდნობა:

- ა) მათემატიკურ გაანგარიშებებს (რიცხვით მონაცემებს)
- ბ) ექსპერტულ შეფასებებს
- გ) დელფის ანალიტიკურ მონაცემებს

29. შეფასების სისტემა (მატრიცა) უზრუნველყოფს:

- ა) ალტერნატივების შეფასებას ერთიანი სისტემით, რომელიც არ იძლევა ალტერნატივების შედარების საშუალებას
- ბ) ალტერნატივების შეფასებას განსხვავებული სისტემით, რომელიც არ იძლევა ალტერნატივების შედარების საშუალებას
- გ) ალტერნატივების შეფასებას ერთიანი სისტემით, რომელიც იძლევა ალტერნატივების შედარების საშუალებას

30. შეფასების რაოდენობრივი მაჩვენებლები გამოიყენება:

- ა) არასტაბილურ სიტუაციაში, მონაცემების არასებობის პირობებში
- ბ) მონაცემების არარსებობის პირობებში, ექსპერტული მოსაზრებების გამოყენების დროს
- გ) სტაბილურ სიტუაციაში, მონაცემების არსებობის პირობებში

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!

